ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი

მოქალაქის გზამკვლევი

2021 წელი, დეკემბერი

სარჩევი

შესავალი 3

ონის მუნიციპალიტეტი - სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა 4

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა 7

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები 12

საბიუჯეტო პროცესი თვითმმართველობაში 13

ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2010-2022 წლებში 15

ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი 17

- ბიუჯეტის შემოსულობები 17
- ნაშთის ცვლილება 20
- ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით 21
  - მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 24
  - ინფრასტრუქტურის განვითარება 25
  - დასუფთავება და გარემოს დაცვა 29
  - განათლება 31
  - კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები 33
  - ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 38
- ბიუჯეტის გადასახდელები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით 42

შესავალი

ბიუჯეტის მგზამკვლევის შემუშავება ეხმარება მოქალაქეს მარტივ, მისთვის გასაგებ ენაზე მიიღოს ინფორმაცია ამა თუ იმ მუნიციპა--ლიტეტში წლის განმავლობაში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული, სოციალური, საგანმანათლებლო და სხვა სახის პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. მგზამკვლევში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების მოკლე აღწერას, წარმოაჩენს მათ მიზნობრიობას, დაგეგმილ აქტივობებს სძენს მეტ ტრანსფარენტულობას და საჯაროობას.

ბიუჯეტის მგზამკვლევი მოიცავს ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველადი ვარიანტის მოკლე აღწერას. უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობის შესაბამისად ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარდგენილია 15 ნოემბრამდე პერიოდში, რომელიც საკრებულოს შენიშვნების გათვალისწინებით ექვემდებარება გადახედვას და არაუგვიანეს 10 დეკემბრისა საკრებულოში წარდგენას. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერს, რომელიც ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი შემოსავალია და მის ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს.

წარმოდგენილი ინფორმაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული წლის მონაცემებით. მასში 2022 წლის საბიუჯეტო მონაცემები შედარებულია გასული 2 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს, როგორც ბიუჯეტის ხარჯვით ასევე, შემოსავლების ნაწილში. წარმოდგენილია ინფორმაცია ბოლო 10 წლის განმავლობაში ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ცვლილების დინამიკის შესახებ.

ბიუჯეტის გზამკვლევში ასევე მოცემულია ინფორმაცია საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ, საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებზე და თვითმმართველობების საბიუჯეტო პროცესზე.

გზამკვლევში მოყვანილი 2021 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები ასახავს 2021 წლის 10 თვის მდგომარეობით არსებულ სურათს. წარმოდგენილი ციფრები ეფუძნება ფინანსთა სამინისტროს eTreasuary სისტემაში 2021 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით არსებულ მონაცემებს. 2021 წლის გეგმიური მაჩვენებლები შესაძლებელია რიგ შემთხვევებში არ ემთხვეოდეს საკრებულოს მიერ დატკიცებული ბიუჯეტის მონაცემებს (განსხვავების მიზეზი შესაძლებელია იყოს: სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი თანხები, რომელთა ასახვა ჯერ არ მომხდარა ბიუჯეტში; 5%-იანი გადანაწილებით დაზუსტებული ასიგნებები; სარეზერვო ფონდიდან გადანაწილებული თანხები), მაგრამ ეს არის მიმდინარე ეტაპისთვის ის რეალური მაჩვენებლები, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტი ახორციელებს ხარჯების გაწევას 2021 წლის ბიუჯეტიდან.

ონის მუნიციპალიტეტი - სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა

ONI

ონის მუნიციპალიტეტი — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარეში. ონის მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ეკვრის ჯავის, დასავლეთით ამბროლაურისა და ლენტეხის, სამხრეთით საჩხერის მუნიციპალიტეტები, ჩრდილოეთით ყაბარდო-ბალყარეთისა და ჩრდილოეთი ოსეთის რესპუბლიკები. ფართობი 1360 კმ². ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ონი.

ქალაქი ონი — ქალაქი დასავლეთ საქართველოში, მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე, ღრმა ხეობაში. ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი. ზღვის დონიდან 830 მ, თბილისიდან 210 კმ. 3,3 ათასი მცხოვრები (2002). ონში ზომიერად ნოტიო ჰავაა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი თბილი ზაფხული.საშუალო წლიური ტემპერატურა 10 °C, იანვარი — 1 °C, ივლისი 20,4 °C, აბსოლუტური მინიმალური – 27 °C, აბსოლუტური მაქსიმალური 38 °C. ნალექები 1000—1100 მმ წელიწადში.

ქალაქს უჭირავს ვაკის ვიწრო ზოლი მდინარე რიონის მარცხენა შენაკადებს — ჯეჯორასა და ღარულას შორის. ქალაქის ტერიტორია მნიშვნელოვნად გაფართოვდა მდინარე რიონის მარცხენა ნაპირის გასწვრივ საყრდენი კედლის აგების შემდეგ. გაყვანილია წყალსადენი. ქალაქზე გადის ოსეთის სამხედრო გზა. ქალაქში შემონახულია შუა საუკუნეების ციხის გალავანი და სინაგოგა. ქალაქში არის სამრეწველო საწარმოები, ჯანდაცვის, განათლებისა და კულტურის დაწესებულებები. ონში არის ნიკორწმინდის ეპარქიის რეზიდენცია.

ონი წყაროებში პირველად მოხსენიებულია XV-XVI საუკუნეებში. მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზღვების თანახმად, ონი დააარსა იბერიის მეფე ფარნაჯომმა (ძვ. წ. II ს.). შუა საუკუნეებში გაიზარდა ფეოდალური ქალაქის – ონის ეკონომიკური მნიშვნელობა; აქ თავს იყრიდა ჩრდილოეთი კავკასიიდან, ქართლიდან, იმერეთიდან და ქვემო რაჭიდან მომავალი გზები. იმერეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების (1810) შემდეგ იყო დაბა; წარმოადგენდა რაჭის მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტს, განვითარებული იყო ხელოსნობა.

1846 წლიდან იყო ქუთაისის გუბერნიის რაჭის მაზრის ადმინისტრაციული ცენტრი.

1917 წლამდე ახლანდელი ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორია შედიოდა ქუთაისის გუბერნიის რაჭის მაზრაში, 1917 წლიდან 1928 წლამდე — რაჭის მაზრაში, 1929 წლიდან — რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში, 1930 წლის მარტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით — ქუთაისის ოლქში, 1930 წლის ოქტომბრიდან — იყო დამოუკიდებელი რაიონი. 1963-1964 წლებში შედიოდა ამბროლაურის რაიონში. 1965 წლიდან გამოიყო დღევანდელი საზღვრებით და იყო დამოუკიდებელი რაიონი. 1991 წელს მას შეუერთდა ჯავის რაიონის ტერიტორიის ნაწილი, 36 კვადრატული კილომეტრი, კიროვისა და ჩასავლის სასოფლო საბჭოები.

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო, აღმასრულებელი ორგანო — მუნიციპალიტეტის მერია, რომელსაც ხელმძღვანელობს პირდაპირი წესით არჩეული მუნიციპალიტეტის მერი.

მუნიციპალიტეტში 65 დასახლებული პუნქტია. მათ შორის, 1 ქალაქი და 64 სოფელი. მუნიციპალიტეტი იყოფა შემდეგ 19 ტერიტორიულ ერთეულად:

- ქ. ონი
- ბარი - ზემო ბარი; ქვემო ბარი; სამთისი
- გლოლა - გლოლა
- გომი - გომი; ჯინჭვისი
- კვაშხიეთი - კვაშხიეთი; ზუდალი; შრომის უბანი; ხეითი; ბოყვა; ზვარეთი
- კომანდელი - კომანდელი; ხირხონისი; ქრისტესი; სხიერი; ქორთა; სომიწო
- მრავალძალი - სოფელი: მრავალძალი
- პიპილეთი - პიპილეთი; ჟაშქვა; ონჭევი; სორგითი;
- საკაო - საკაო; ხიდეშლები; მაჟიეთი; ბორცო; ლაგვანთა
- სორი - სორი; გადამში; ჭვებარი
- უწერა - უწერა; ნიგავზები; ფარავნეში; ნაკიეთი
- ფარახეთი - ფარახეთი; ჭიბრევი; შარდომეთი; სევა; ახალი ჩორდი
- ღარი - ღარი; წმენდაური
- ღები - ღები; პატარა ღები; გონა
- შეუბანი - შეუბანი; ლაჩთა; ჭალა; ხურუთი; ნიგვზნარა; წოლა
- შქმერი - შქმერი; უშოლთა; ხარისთვალი
- ცხმორი - ცხმორი; ბაჯიხევი; ღუნდა; ფსორი
- წედისი - წედისი; ქვედი; ირი; სხანარი; ქვედრულა;
- ჭიორა - ჭიორა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ონის მუნიციპალიტეტში არის 5,6 ათასი მოსახლე.

გრაფიკი #1

საქართველოს მოსახლეობა მუნიციპალიტეტების მიხედვით (ათასი კაცი)



* გრაფიკის თავსებადობის მიზნით, მონაცემები არ მოიცავს ქ. თბილისის მაჩვენებლებს

ონის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდია: https://oni.gov.ge/

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით საქართველოს საბიუჯეტო სისტემა არის „საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციების შესასრულებლად, ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით, სამართლებრივი აქტებით რეგულირებული საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობა“.

ტერმინი „ბიუჯეტი“ („Budget”) ინგლისური სიტყვაა და ტომარას ნიშნავს. დღევანდელი მნიშვნელობით ამ ტერმინის გამოყენება ისტორიულ წყაროებში პირველად გვხვდება ინგლისის თემთა პალატაში. როდესაც მთავრობა თემთა პალატას ფულს სთხოვდა, ხაზინის კანცლერი ხსნიდა პორტფელს (ტომარას), სადაც სახელმწიფო შემოსავალების და ხარჯების ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტი იყო. ამას უწოდებდნენ ბიუჯეტის გახსნას.

დღეს საქართველოში ბიუჯეტი წარმოდგენს შესაბამისი დონის ხელისუფლების ორგანოების მიერ საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღებ და გასაცემ ფულადი სახსრების ერთობლიობას, მათი შეგროვებისა და გადახდის გეგმას. ამ სახით პროგნოზი კეთდება მომდევნო 4 წელზე, ხოლო მმართველობის შესაბამისი ორგანობის მიერ ბიუჯეტი მტკიცდება და აღსრულებას ექვემდებარება მომდევნო 1 წლისათვის.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა აერთიანებს სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს. დღეს მოქმედი კანონმდებლობითა და საბიუჯეტო მოწყობის მიხედვით საქართველოში არსებობს ბიუჯეტის სამი დონე: საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტები. ბიუჯეტები მტკიცდება ასევე, შესაბამისი დონის ხელისუფლებების მიერ.

საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური და ადგილობრივი ბიუჯეტების ყველა შემოსულობის და გადასახდელის აღირიცხვა-ანგარიშგება ხორციელდება სახელმწიფო ხაზინის სისტემის მეშვეობით.

გარდა ამისა არსებობს და ფინანსური ანგარიშგეგებისათვის გამოიყენება ბიუჯეტები, რომლებიც არ ექვემდებარება დამტკიცებას. ესეთი ბიუჯეტი წარმოადგენს, ზემოთ მოყვანილი, შესაბამისი დონის ხელისუფლების მიერ დამტკიცებული ბიუჯეტების კონსოლიდირებულ ვერსიებს. ესენია: საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი, სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტი, ცენტრალური ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკების ნაერთი ბიუჯეტი, ერთიანი ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტი და ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტი. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილი ბიუჯეტები არ მტკიცდება, მისი შედგენა მნიშვნელოვანია ქვეყნის ფინანსური, საბიუჯეტო ანგარიშგებისათვის. ბიუჯეტების ამ სახით კონსოლიდაციის გარეშე

არ იქნება სრულყოფილი თვითმართველობის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მთლიანად ქვეყნის დონეზე საბიუჯეტო სისტემის ანალიზი და ანგარიშგება.

როგორც ავღნიშნეთ რიგი ბიუჯეტები არ ექვემდებარება დამტკიცებას და ეს ბიუჯეტები წარმოადგენს დამტკიცებული ბიუჯეტების კონსოლიდირებულ ვერსიებს. დამტკიცებას ექვემდებარება შემდეგი ბიუჯეტები:

- სახელმწიფო ბიუჯეტი - მტკიცდება საქართველოს პარლამენტის მიერ;
- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი - მტკიცდება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი - მტკიცდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს, საკრებულოს მიერ.
- სსიპ-ების და ააიპ-ების ბიუჯეტები - მტკიცდება კანონმდებობით დადგენილი წესით (რიგ შემთხვევებში ხელმძღვანელის მიერ, რიგ შემთხვევაში მაკონტროლებლის ან მაკონტროლებლის თანხმობით და ა.შ.).

ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტზე. კერძოდ იმ საკითხებზე, თუ რას წარმოადგენს თვითმმართველობის ბიუჯეტი, რა როლი უჭირავს მას ქვეყნის საბიუჯეტო სისტემაში, რა სახის კავშირი და დამოკიდებულება აქვს თვითმმართველობების ბიუჯეტებს სხვა დონის ბიუჯეტებთან.

თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი, რომელსაც აქვს საკუთარი ადმინისტრაციული საზღვრები. ხოლო, ადგილობრივი თვითმმართელობა არის შესაბამის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეთა უფლება, მათ მიერ არჩეული თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. სწორედ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი წარმოადგენს ამ საკითხების გადაწყვეტის ძირითად და მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. საკუთარი უფლებამოსილება არის ის უფლებამოსილება, რომელსაც მუნიციპალიტეტი ახორციელებს დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობით. ხოლო, დელეგირებული უფლებამოსილება - სახელმწიფო ან/და ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილება, რომელიც შესაბამისი მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით გადაეცემა ადგილობრივ თვითმმართველობას. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებების ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების წყაროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობები და სხვა ბიუჯეტიდან მიღებული არასაკუთარი შემოსულობები. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსულობებს მიეკუთვნება ბიუჯეტის მიერ

მიღებული სესხი და გრანტი, აგრეთვე სპეციალური, კაპიტალური და მიზნობრივი ტრანსფერები. ბიუჯეტის ყველა სხვა შემოსულობა წარმოადგენს თვითმმართველობის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობას, რომელთა გამოყენებაც მუნიციპალიტეტს შეუძლია დამოუკიდებლად, საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად. სწორედ საკუთარი შემოსულობები და მათი დამოუკიდებლად განკარგვის შესაძლებლობა უზრუნველყოფს მუნიციპალური ბიუჯეტის დამოუკიდებლობას.

თუ ვნახავთ გასული წლების მუნიციპალიტეტების შემოსულობების ნაერთ მაჩვენებლებს გამოჩნდება, რომ მუნიციპალური ბიუჯეტის ძირითადი შემოსავლები სწორედ მისი არასაკუთარი შემოსულობებია. მაგალითისთვის, 2020 წლისათვის მუნიციპალიტეტების ნაერთ შემოსულობებში არასაკუთარი შემოსულობების ფაქტიური მაჩვენებელი 70% იყო (გრაფიკი #2).

გრაფიკი #2



გრაფიკ #3-ში მოცემულია საკუთარი შემოსავლების სტრუქტურა 2020 წლის ფაქტიური შემოსავლების მიხედვით. გრაფიკში მოცემული სხვა შემოსავლების მონაცემი აერთიანებს შემოსავლების საბიუჯეტო კლასიფიკაციის როგორც სხვა შემოსავლებიდან, ასევე, არაფინანსური (კაპიტალური შემოსავლები) და ფინანსური (ძირითდად ნაშთის გამოყენება) აქტივებიდან მუნიციპალურ ბიუჯეტებში მობილიზებულ თანხებს.

* გრაფიკი #3*



უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საბიუჯეტო სისტემაში 2019 წლის 1 იანვრიდან განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მუნიციპალიტეტის შემოსავლების როგორც ფორმირებაზედ ასევე მის სტრუქტურაზე. კერძოდ:

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში განხორცილდა ცვლილებები საბიუჯეტო კოდექსსა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, რომლის მიხედვითაც შეიცვალა მუნიციპალიტეტების დაფინანსების სისტემა, კერძოდ, მუნიციპალიტეტების აღარ მიეცემათ გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე საშემოსავლო გადასახადის სხვადასხვა სახეებიდან მიღებული შემოსავლები მთლიანად მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში, მათ ნაცვლად მუნიციპალიტეტების დასაფინანსებლად მიიმართება დღგ-ს სახით მიღებული შემოსავლების 19,0%.

როგორც მონაცემებიდან ჩანს მუნიციპალიტეტის შემოსულობებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებულ შემოსავლებს (89%), რომელმაც როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, 2019 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად, ჩაანაცვლა გათანაბრებითი ტრანსფერი და საშემოსავლო გადასახადი. უნდა აღინიშნოს, რომ გათანაბრებით ტრანსფერთან შედარებით დღგ-მ მნიშვნელოვნად გაზარდა მუნიციპალიტეტების შემოსავლები.

მარტივად აღსაქმელად, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ბიუჯეტის შემოსავლის წყაროები ჩვენ პირობითად შეგვიძლია დავყოთ 3 ნაწილად:

საგადასახადო შემოსავლები - შემოსავლის ეს წყარო მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქონების გადასახადის 100%-ს და დამატებითი ღირებულების გადასახადის ნაწილს, რომლიც გამოთვლაც ხდება სპეციალური ფორმულით სადაც მონაწილეობს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლები; შემოსავლის ეს წყარო მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავალებს მიეკუთვნება.

გრანტები (ტრანსფერები) - საერთაშორისო ორგანიზაციები და მთავრობების მიერ გამოყოფილ გრანტები. ასევე, სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილ ტრანსფერები. მათ შორის, მიზნობრივი, სპეციალური და კაპიტალრ ტრანსფერები (2019 წლიდან აღარ არსებობს გათანაბრებითი ტრანსფერი). შემოსავლის ამ წყაროდან მისაღები თანხებიდან მუნიციპალიტეტის არასაკუთარ შემოსავლებს მიეკუთვნება.

სხვა დანარჩენი შემოსავლები - შემოსავლის ამ წყაროში გავაერთიანეთ ბიუჯეტის სხვა შემოსავლებს მიკუთვნებული შემოსავლები (მაგ. მოსაკრებლები, ჯარიმები, დივიდენდები, ლიცენზისები და ა.შ.), კაპიტალური შემოსავლები (შემოსავლები პრივატიზაციიდან), ფინანსური აქტივების (ნათშის გამოყენება, სესხის დაბრუნება) და ვალდებულებების (საგარეო ან საშინაო სესხის აღება) ცვლილებით მიღებული შემოსავლები. ჩამოთვლილი შემოსავლებიდან მისაღები თანხებიდან მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსულობებს მიეკუთვნება საბიუჯეტო კლასიფიკაციით კლასიფიცირებული სხვა შემოსავლები, კაპიტალური შემოსავლები და ფინანსური აქტივების ცვლილებიდან (ძირითად შემთხვევებში ნაშთი) მისაღები თანხები. შემოსავლების ზემოაღნიშნული კლასიფიცირების მიხედვით გრაფიკ #4-ზე მოცემულია 2020 წელს, ჯამურად მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში ჩარიცხული თანხები და მათი პროპორცია.

გრაფიკი #4



საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები

საქართველოში დღეს მოქმედი საბიუჯეტო სისტემა რეგულირდება სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმატიული აქტით. სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებისთან დაკავშირებული დებულებები ასევე გაწერია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 თავში. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობების კოდექსი“-ს მე-5 კარი მთლიანად შედგება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ეკონომიკური საფუძვლების დებულებებისაგან. ასევე, ამავე ორგანული კანონის გარდამავალი დებულებები არეგულირებს მუნიციპალიტეტის ფინანსებთან დაკავშირებულ რიგ საკითხებს.

ქვეყანაში საბიუჯეტო მოწყობის ძირითად და საკვანძო საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს კანონით „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-თ. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი მიღებული იქნა 2009 წელს და ძალაში შევიდა 2010 წლის 1 იანვრიდან. საბიუჯეტო კოდექსმა ბევრ სხვა სიახლესთან ერთად გააერთიანა სხვადასხვა დონის ბიუჯეტების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მანამდე რამოდენიმე კანონით იყო დარეგულირებული. შედეგად საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის ამოქმედებისთანავე, სხვა კანონებთან ერთად, გაუქმდა „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“, „შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონები.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი შედგება ექვსი კარისაგან. მათ შორის, პირველი, მეორე და მეექვსე კარი საერთოა ბიუჯეტებისთვის და შესაბამისად, ადგენს ნორმებს ყველა დონის ბიუჯეტისთვის. კოდექსის მე-3 კარით დარეგულირებულია სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები, მე-4 კარი ადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო წესებსა და პროცედურებს, ხოლო მე-5 კარში მოცემულია ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები.

გარდა აღნიშნული საკანონმდებლო აქტებისა ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის შემადგენელი საკანონმდებლო აქტებია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, „სახელმწიფო აუდიტის შესახებ“, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, „ბურალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, „ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონები და სხვა.

ქვეყანაში საბიუჯეტო სისტემას, გარდა ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტებისა, ასევე არეგულირებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, ამ აქტებით დამტკიცებული მეთოდოლოგიები. ასევე, საბიუჯეტო პროცესის მიმდინარეობისას ყოველწლიურად გამოიცემა კანონქვემდებარე ინდივიდუალური აქტები, რომლებიც გამომდინარეობს შესაბამისი ნორმატიული აქტებიდან.

საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტებიდან უნდა გამოიყოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებები „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ და „პროგრამული ბიუჯეტი შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“. ეს ორი ბრძანება არეგულირებს როგორც სახელმწიფო დონეზე საბიუჯეტო მოწყობის საკითხებს, ასევე, ავტონომიური და ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენისა და აღსრულების წესებსა და პროცედურებს.

„საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით კლასიფიცირდება ბიუჯეტში მისაღები და ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი ნაკადები. დამტკიცებული კლასიფიკაცია ეფუძნება და შესაბამისია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დაწესებულ საერთაშორისო სტანდარტებთან. იგი ერთიანია საქართველოს ყველა დონის ბიუჯეტისათვის. კლასიფიკაციით განსაზღვრულია თუ როგორი ფორმა უნდა ჰქონდეს ბიუჯეტის ბალანსს, მოცემულია დეტალური მეთოდური მითითებები ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების სწორი აღრიცხვა-ანგარიშგებისთვის.

ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შემუშავება ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის სავალდებულო გახდა 2013 წლიდან. სწორედ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტი შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ ადგენს იმ წესებსა და ფორმას, თუ რა პერიოდში და რა სტრუქტურით უნდა განხორციელდეს წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადება, დამტკიცება, აღსრულება და ანგარიშგება. მეთოდოლოგია ადგენს როგორც ზოგად დებულებებს, რომლებიც საერთოა ყველა დონის ბიუჯეტისათვის, ასევე ცალ-ცალკე, თითოეული დონის ბიუჯეტისათვის, განსაზღვრავს ბიუჯეტის და მისი პროგრამების შედგენის დეტალურ ფორმატებს.

2018 წელს განახლდა მეთოდოლოგიის ის ნაწილი, რომელიც არეგულირებს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო საკითხებს. ჩვენს შემთხვევაში საგულისხმოა სიახლეები რომლებიც დაადგინა განახლებულმა მეთოდოლოგიამ და რომლებიც მუნიციპალიტეტებისათვის სავალდებულო გახდება 2020 წლის ბიუჯეტის მომზადების პროცესიდან.

საბიუჯეტო პროცესი თვითმმართველობაში

თვითმმართველობების ბიუჯეტის პროექტის მომზადების, საკანონმდებლო ორგანოსათვის წარდგენის და დამტკიცების პროცედურები რეგულირდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის XII თავით. ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესს კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო, რომელიც ამ პროცესში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობითა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცემული შესაბამისი მეთოდური მითითებებით. მუნიციპალური ბიუჯეტის მომზადების, შედგენის, დამტკიცებისა და ანგარიშგების პროცესის მოკლე აღწერა მოცემულია გრაფიკ #5-ზე.

გრაფიკი #5


არაუგვიანეს 1 მარტისა - იწყება მუშაობა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაზე/გადამუშავებაზე
არაუგვიანეს 15 ივლისისა - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ყველა მუნიციპალიტეტს აცნობებს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრებს
არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აცნობებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს
არაუგვიანეს 15 ნოემბრისა - თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანო ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის პროექტის პირველად ვარიანტს და განსახილველად შეაქვე საკრებულოში
პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის საკრებულოში წარდგენიდან არაუგვიანეს 5 დღისა საკრებულო პრიორიტეტების დოკუმენტს და ბიუჯეტის პროექტს აქვეყნებს საჯარო განხილვებისათვის.
არაუგვიანეს 25 ნოემბრისა - შენიშვნების არსებობის შემთხვევაში საკრებულო ბიუჯეტს გადამუშავებისათვის უბრუნებს აღმასრულებელ ხელისუფლებას
არაუგვიანეს 10 დეკემბრისა - აღმასრლებელი ხელისუფლების მიერ ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის იმავე ან შესწორებული ვარიანტი საკრებულოს დასამტკიცებლად უბრუნდება არაუგვიანეს
არაუგვიანეს 31 დეკემბრისა საკრებულო, ბიუჯეტის პროექტის დადგენილი წესით განხილვების შემდგომ, ამტკიცებს დასაგეგმი წლის ბიუჯეტს
ბიუჯეტის დამტკიცებიდან 15 დღეში მტკიცდება ბიუჯეტის ყოველთვიური/ყოველკვარტალური განწერა
თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღეში ამზადებს ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიურ ანგარიშს. ხოლო, ყოველი კვარტლის დასრულებიდან ერთ თვეში და წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა ამზადებს ბიუჯეტის კვარტალური და წლიური შესრულების ანგარიშებს, რომლებიც წარედგინება საკრებულოს
არაუგვიანეს 1 მაისისა ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში საჯაროდ განიხილება საკრებულოში, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მისი დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ

ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2010-2022 წლებში

ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მოცულობა 2010-2022 წლებში ზრდადი დინამიკით ხასიათდება (გრაფიკი #6).

გრაფიკი #6



* 2010-დან 2019 წლის ჩათვლით მოცემულია ფაქტიური, ხოლო 2021 და 2022 წლებში გეგმიური მაჩვენებლები

ბიუჯეტის სიდიდეების განხილვისას კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ სტრანსფერს და საბიუჯეტო ნაშთს. უნდა ვივარაუდოდ, რომ 2022 წლის ბიუჯეტის მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზრდება კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფისა და ბიუჯეტში წლის ბოლოს არსებული ნაშთის ასახვის შემდგომ.

ბოლო წლების მიხედვით ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის წილი რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ჯამურ მოცულობაში 20%-დან 32%-ის ფარგლებში მერყეობს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ნარეთ ბიუჯეტში ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის წილი უმნიშვნელოა და იგი მისი მოცულობა 0,1%-ის ფარგლებშია.

2010-დან 2021-წლამდე პერიოდში ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ზრდამ ნომინალურ გამოხატულებაში 19,9 მლნ ლარი შეადგინა, (2010 წელს 2,8 მლნ და 2021 წელს 22,7 მლნ ლარი). ჯამში 2010-დან 2020 წლის ჩათვლით ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეულია 77,2 მლნ ლარი ხარჯი, რაც საშუალოდ წელიწადში 7,0 მლნ ლარია.

ონის მუნიციპალური ბიუჯეტის გადასახდელების (ასიგნებების) ყოველწლიურმა საშუალო ზრდამ ბოლო 10 წლის განმავლობაში შეადგინა 27% (გრაფიკი #7), რაც 19%-ით მეტია საქართველოს მუნიციპალიტეტების საშუალო ჯამურ მაჩვენებელზე (8%), ხოლო რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ჯამურ მაჩვენებელზე (18%) 9%-ით მეტი.

გრაფიკი #7



ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი

ბიუჯეტის შემოსულობები

ჩვენ განვიხილავთ ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებს 2020-2022 წლების მიხედვით, წარმოვადგენთ მათ სიდიდეებს, წილს მთლიან შემოსულობებში და დინამიკას ბოლო 3 წლის მიხედვით.

გრაფიკი #8



ონის მუნიციპალიტეტის შემოსულობების განხილვისას პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის მაჩვენებლები არ მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ სტრანსფერებს. მათ შორისაა, რეგიონების განვითარების ფონდიდან გამოსაყოფილი ტრანსფერები ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის და განათლების ღონისძინებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერები. ამ ტრანსფერების გამოყოფის შემდგომ 2022 წლის მაჩვენებელი გაუტოლდება გასული 2 წლის მაჩვენებელს.

ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა 2019 წელს. აღნიშნული უკავშირდებოდა 2019 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო კოდექსში ამოქმედებულ ცვლილებას, რომლიც მიხედვითაც, ერთის მხრივ, გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე, საშემოსავლო გადასახადის ის სახეები რომლებიც გასულ წლებში ირიცხებოდა ადგილობრივ ბიუჯეტებში აღარ ირიცხება მუნიციპალურ ბიუჯეტებში. ხოლო მეორეს, მხრივ ამოქმედდა გადასახადების განაწილების პრინციპი (ე.წ. Tax share), რომლიც მიხედვითაც ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩაირიცხება დამატებითი ღირებულების

გადასახადიდან მობილიზებული თანხის 19%. ამ თანხის განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით ხორციელდება ასევე საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით.

გრაფიკი #9

ონის მუნიციპალიტეტის 2020-2022 წლების ბიუჯეტი, შემოსულობების წყაროების მიხედვით



გრაფიკი #10

ონის მუნიციპალიტეტის 2020-2022 წლების ბიუჯეტის შემოსავლის წყაროების წილი მთლიან შემოსულობებში



საგადასახადო შემოსავლების ამ რეფორმის მიხედვით ონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტმა დამატებითი ღირებულების გადასახადიდან უნდა მიიღოს 5,0 მლნ ლარი, რაც ქონების გადასახადთან ერთად ჯამში 5,5 მლნ ლარს შეადგინს. შესაბამისად, საგადასახადო შემოსავლების წილი ონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის მთლიან შემოსავლების 27,6% შეადგინს. 2019 წლამდე არსებულ მონაცემებთან შედარებით მთლიან შემოსავლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საგადასახადო შემოსავლების წილი, რაც დადებითი მოვლენაა მუნიციპალიტეტისათვის იმ მხრივ, რომ საგადასახადო შემოსავლები პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკის ზრდას და მასთან ერთად იზრდება. ანუ მშპ-ს ზრდის პარალელურად მოსალოდნელია მუნიციპალური ბიუჯეტების და მათ შორის ონის მუნიციპალიტეტის შემოსავლების ზრდაც.

ვინაიდან 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი ამ ეტაპისათვის არ ითვალისწინებს წლის განმავლობაში მისაღები ტრანსფერების მნიშვნელოვან ნაწილს, გრაფიკ #11-ზე ანალიზისათვის წარმოდგენილი 2021 წლის ბიუჯეტის ტრანსფერების შემადგენლობა.

გრაფიკი #11



სხვა შემოსავლები და კაპიტალური შემოსავლების ონის 2022 წლის ბიუჯეტის მთლიან შემოსავლებში შემდეგი წლობრივი მაჩვენებლით არის წარმოდგენილი: სხვა შემოსავლები - 4,3% (280.0 ათასი ლარი), არაფინანსური აქტივების კლება - 0,5% (93.0 ათასი ლარი). ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის სხვა შემოსავლების სტრუქტურა მოცემულია გრაფიკ #12-ზე:

გრაფიკი #12



ნაშთის ცვლილება

ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის არსებული რედაქცია გადასახდელების დაფინანსებისათვის ნაშთის გამოყენებას არ ითვალისწინებს.

ონის მუნიციპალიტეტის 2020-2022 წლების ბიუჯეტების შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განსაზღვრულია შემდეგნაირად:

გრაფიკი #13



ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით

ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის გადასახდელები (15 ნოემბრის მდგომარეობით) განსაზღვრულია 21,8 მლნ ლარით (გრაფიკი #14).

გრაფიკი #14



გრაფიკებში #15-#16 მოცემულია 2020-2022 წლებში ონის მუნიციპალიტეტის ასიგნებები (მთლიანი ხარჯები) პრიორიტეტების მიხედვით, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე თითოეული პრიორიტეტი პროცენტულად მთლიან ხარჯთან. ხოლო გრაფიკზე #17 ანალოგიური მაჩვენებლები ჯამურად ბოლო 3 წლის მიხედვით (2020-2022 წლები).

გრაფიკი #15



* გრაფიკი #16*



გრაფიკი #17



2022 წლის ბიუჯეტის პროექტში პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები	გეგმა ათას ლარებში
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები	2,805.0
ინფრასტრუქტურის განვითარება	1,857.3
დასუფთავება და გარემოს დაცვა	560.0
განათლება	320.0
კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	789.4
ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	240.3
სულ ასიგნებები	**6,572.0**

გრაფიკი #18



ინფორმაცია ყველა ზემოაღნიშნულ პრიორიტეტზე და მასში შემავალ პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ წარმოდგენილია შემდგომ თავებში.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 2,805.0 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 42,7%-ს შეადგენს. 2020-2022 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #19-ზე.

გრაფიკი #19



2022 წელს გამოყოფილი ასიგნებებიდან ფინანსდება შემდეგი ხარჯები:

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსება

ათასი ლარი

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	**2,805.0**
საკრებულო	626.5
მერია	1,871.6
სამხედრო აღრიცხვის სამსახური	94.2
სარეზერვო ფონდი	130.0
მგფ-სა და სხვა ვალდებულებების დაფარვა	77.2
ინფრასტრუქტურის განვითარება	5.5

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის ასიგნებების წილობრივი მაჩვენებლები მოცემულია გრაფიკ #20-ზე.

გრაფიკი #20



ინფრასტრუქტურის განვითარება

ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 43% გამოყოფილია ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 1,857.2 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხები მთლიანად წარმოადგენს ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს. კიდევ ერთხელ ავღნიშნავთ, რომ 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტუტული პროექტებისათვის გამოსაყოფ კაპიტალურ ტრანსფერს. 2020-2022 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #21-ზე.

გრაფიკი #21



2022 წლის ბიუჯეტის პროექტით პრიორიტეტის ფარგლებში ფინანსდება შემდეგი პროგრამები:

ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსება

ათასი ლარი

		სულ	საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ფონდები
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	430.7	430.7	-
02 02	წყლის სისტემების განვითარება	123.5	123.5	-
02 03	გარე განათება	268.0	268.0	-
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	95.0	95.0	-
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	200.0	200.0	-
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტომოსახურების შესყიდვა	550.0	550.0	-
02 07	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	150.0	150.0	-
02 08	სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	40.0	40.0	-

გრაფიკი #22



<u>საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება</u> - პროგრამის ფარგლებში ფინანსდება შემდეგი 2 ქვეპროგრამა: გზების კაპიტალური შეკეთება და გზების მიმდინარე შეკეთება.

გზების კაპიტალური შეკეთების ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ონის მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. კერძოდ, დაგეგმილია შემდეგი პროექტების განხორციელება:

- სოფ. ლაგვანთა-საკაო-მაჟიეთი-ხიდეშლების მიმართულებით გზის ასფალტო-ბეტონით კაპიტარული რეაბილიტაცია;
- სოფ. პიპილეთი-ჟაშქვის მიმართულებით გზის ცემენტ-რკინა-ბეტონით კაპიტალური რეაბილიტაცია;
- სოფ. კვაშხიეთში გზის რეაბილიტაცია სანიაღვრე არხების ჩათვლით;
- სოფ. ახალი ჩორდი სევის გზის ასფალტირება;
- სოფ. სორი-გადამში-ჭვეზარის გზის რეაბილიტაცია;
- სოფ. გომი-ჯინჭვისის გზის;
- სახაზოს მიმართულებით გზის.

ქვეპროგრამა ასევე ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის სოფლებში დაზიანებული გზების კაპიტალურ რეაბილიტაციას. პროექტის დაფინანსება მოხდება წილობრივი დაფინანსებით ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრებით.

გზების მიმდინარე შეკეთების ქვეპროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მიმდინარე და პრიოდულ შეკეთებას ქალაქის და სოფლის ზონების თოვლისაგან და მეწყრისაგან წმენდას და სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებს.

<u>წყლის სისტემების განვითარება</u> - წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან: წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია და წყლის სისტემის ექსპლოატაცია.

წყლის სისტემების რეაბილიტაციის ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერითა და წილობრივი დაფინანსებით ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრებით.

წყლის სისტემების ექსპლოატაციის ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის სოფლებში ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას.

<u>გარე განათების პროგრამა</u> - დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ონში და სოფლების ძირითად ნაწილში, გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 90%. გარე განათების პროგრამა მოიცავს 2 ქვეპროგრამას: გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში.

გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას;
- ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას;
- დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთებას.

ქვეპროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას.

კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლებში ღარში, სორში, ნიგავზებში, უწერაში, ღებში, საკაოში, ბორცოში,

ირში გარე განათების ახალი წერტილების დამატება, რეაბილიტაცია და ახალი გარე განათების დამატებული წერტილების აბონენტად აყვანის ხარჯი.

<u>კეთილმოწყობის ღონისძიებები</u> - ქ. ონში საზოდაგოდოებრივი დანიშნულების სივრცეების კეთილმოწყობა-რეაბილიტაციის პროექტი გულისხმობს, აღმაშენებლის მოედნის, გიგა ჯაფარიძს სახელობის სკვერის, მოწყობა-რეაბილიტაციას, რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას კახაბერის, ვახტანგ მე-6, ბააზოვის ქუჩების გარკვეულ მონაკვეთებზე საფეხმავლო ბილიკების, ღობეების, გამწვანების ზოლების, გარე განათების მოწყობას. პროექტის განხორციელება ითვალისწინებს ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარებას. მომავალ წლებშიც გაგრძელდება აღნიშნული სამუშაოები, რომლის დაფინანსება მოხდება რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონიდან და თანადაფინანსებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ამაღლდება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური და კულტურული ცხოვრების დონე. ხელი შეეწყობა ტურიზმისა და სხვადასხვა კერძო ბიზნესის განვითარებას.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს სამოქალაქო ბიუჯეტირების პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ორი პროექტის დაფინანსებას, კერძოდ: მინერალური წყლის ღია ბასეინის მოწყობასა და ტურისტულად აქტიურ ადგილებში ბიო ტუალეტების დადგმას.

<u>სანიაღვრე არხებისა და, ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია</u> - ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ონის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების წმენდა, რათა ჩამდინარე წყლების მართვა მოხდეს შეუფერხებლად. ქვეპროგრამის მიზანია პროგრამის მიზანია რებილიტირებული და მოწესრიგებული იქნას ბალანსზე რიცხული შენობები.

დასუფთავება და გარემოს დაცვა

ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის ასიგნებების 9% გამოყოფილია დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 560.0 ათას ლარს შეადგენს. 2020-2022 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #23-ზე.

გრაფიკი #23



ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტიდან ფინანსდება შემდეგი პროგრამები:

ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსება

ათას ლარში

	სულ	საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ფონდები
დასუფთავება და ნარჩენების გატანა	500.0	500.0	-
მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	50.0	50.0	-
უპატრონოცხოველების თავშესაფრში გადყვანის ღონისძიებები	10.0	10.0	-
სულ	560.0	560.0	-

გრაფიკი #24



<u>დასუფთავება და ნარჩენების გატანა</u> - ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ონში და მუნიციპალიტეტის სოფლებში დასუფთავებისა და მასთან დაკავშირებულ მომსახურებას; მოხდება შეგროვილი ნარჩენების ტრანსპორტირება ნაგავსაყრელ პოლიგონზე, ტერიტორია სადაც დგას ბუნკერები დღის განმავლობაში მუდმივად დასუფთავდება, დაცული იქნება მოედნების და სკვერების გამწვანების ზოლი ცხოველების დაზიანებისაგან, ასევე მოხდება დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების ორგანიზება ქალაქ ონის მოსახლეობიდან, ეტაპობრივად დასუფთავების არეალი გაიზრდება.

<u>მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება</u> - ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქ ონში არსებულ სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიები: ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა.

<u>უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებები</u> - ქვეპროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში არსებული უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების თავშესაფარში დროებით გადაყვანის და შესაბამისი მომსახურების გაწევის დაფინანსება.

განათლება

ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი განთლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ითვალისწინებს 320.0 ათასი ლარს. პრიორიტეტის დაფინანსება ბოლო 3 წლის განმავლობაში წარმოდგენილია გრაფიკ #25-ზე. 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის (15 ნოემბრის მდგომარეობით) მონაცემები წინა წლებისგან განსხვავებით არ ითვალისწინებს ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას.

გრაფიკი #25



განათლების პრიორიტეტის ფარგლებში 2022 წელს ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

განათლების პრიორიტეტის დაფინანსება 2020-2022 წლებში (ათასი ლარი)

	2020	2021	2022
სკოლამდელი განათლება	235.7	314.0	320.0
სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	153.4	546.9	-
განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა	341.6	105.6	-
საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	64.4	73.6	-
სულ	**795.2**	**1,040.1**	**320.0**

სკოლამდელი განათლება - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 1 ბაგა- ბაღი სადაც დღეის მდგომარეობით შესაძლებელია 130 ბავშვი სწავლება, სოფელ გლოლაში არის

სკოლამდელი განათლების ცენტრი კვებით უზრუნველყოფით, ხოლო სოფელ უწერაში და პიპილეთში სკოლამდელი განათლების ცენტრი 3 საათიანი ფუნქციონირებით. სულ სკოლამდელ დაწესებულებაში დასაქმებულია 41 თანამშრომელი. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი საამღზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება.
პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 2-დან 6 წლამდე ბავშვის უზრუნველყოფა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესით; სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვების მზაობა საშუალო განათლების მიღებისათვის; ბავშვების ოპტიმალური ზრდისა და განვითარების უზრუნველსაყოფად შესაფერისი გარემოს შექმნა.

კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს 789.4 ათასი ლარის გამოყოფას, რაც ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 12%-ია.

გრაფიკი #26



პრიორიტეტის ფარგლებში 2022 წლის ბიუჯეტის პროექტიდან გათვალისწინებულია შემდეგი 4 ძირითადი პროგრამის დაფინანსება:

	კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	**ათას ლარში**
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	190.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	514.4
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	40.0
05 04	მოსწავლე ახალგაზრდობის ღონისძიებების დაფინანსება	45.0
	სულ	**789.4**

პრიორიტეტზე გამოყოფილი ასიგნებების დიდი ნაწილი მოდის კულტურის და სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებზე. ამ პროგრამების ჯამური დაფინანსება მთლიანი პრიორიტეტის 89%-ია (704.4 ათასი ლარი).

გრაფიკი #27

კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები



<u>სპორტის განვითარების ხელშეწყობა</u> - პროგრამის ფარგლებში ფინანსდება შემდეგი 2 ქვეპროგრამა:

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი (110,0 ათასი ლარი;
- საფეხბურთო კლუბი მამისონი (80,0 ათასი ლარი).

<u>ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი</u> - სასპორტო სკოლის კომპლექსი აერთიანებს 2 სპორტულ მიმართულებას, ესენია: ჭიდაობა (54 ბავშვი) - (თავისუფალი ჭიდაობა (35 ბავშვი); ქართული ჭიდაობა (7 ბავშვი); ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (12 ბავშვი)) და კალათბურთი (40 ბავშვი) . სულ კომპლექსში სპორტის სახეობებს ეუფლება 94 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-

ჯერ. კომპლექსში დასაქმებულია ჯამში 19 ადამიანი. კომპლექსის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ.

საფეხბურთო კლუბი მამისონი - ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საფეხბურთო კლუბი მამისონი, სადაც სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ფეხბურთს ეუფლება 48 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. კომპლექსში დასაქმებულია ჯამში 10 ადამიანი. კლუბის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში, რეგიონებში საქართველოს მთელი მასშტაბით.

კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე ჯამში გამოყოფილია 514.4 ათასი ლარი, რომლის ფარგლებშიც ფინანსდება შემდეგი 6 ქვეპროგრამა:

კულტურის განვითარების ხელშეწყობა	ათას ლარში
კულტურის ცენტრის დაფინანსების ღონისძიებები	158.0
სახელოვნებო სკოლის ხელშეწყობის ღონისძიებები	94.0
კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	81.4
ბიბლიოთეკების დაფინანსების ღონისძიებები	77.0
მუზეუმის ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები	66.0
ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრი	38.0
სულ	**514.4**

კულტურის ცენტრის დაფინანსების ღონისძიებები - კულტურის სახლში მოქმედებს სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის 7 შემოქმედებითი წრე: ქორეოგრაფიული, საესტრადო, ქართული სალხური სიმღერის შემსწავლელი, ქართული ხალხური ინსტრუმენტების - ფანდურის შემსწავლელი და ქართული ხალხური ინსტრუმენტების - სტვირის შემსწავლელი წრე, სასცენო მეტყველების შემსწავლელი და თეატრალური წრე. სულ წრეებში გაწევრიანებულია 215 ბავშვი. კულტურის სახლში დასაქმებულია 39 ადამიანი. ანსამბლები მონაწილეობას იღებენ საქართველოს მასშტაბით გამართულ სხვადასხვა ღონისძიებასა და ფესტივალებში.

სახელოვნებო სკოლის ხელშეწყობის ღონისძიებები - ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა (45 ათასი ლარი) და ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა (49 ათასი ლარი).

ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა - ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლა სადაც დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს ონის

მუნიციპალიტეტში მცხოვრები 30 ბავშვი.ბავშვები ეუფლებიან ფორტეპიანოზე დაკვრას, ასევე სწავლობენ თეორიულ საგნებს. სამუსიკო სკოლაში დასაქმებულია 9 თანამშრომელი.

ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა - ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამხატვრო სკოლა სადაც განათლებას იღებს ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 76 ბავშვი. სამხატვრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ხატვას, ფერწერას, კომპოზიციას, ძერწვას, თექას, ბატიკას, ფოტოხელოვნებას, ხის მხატვრულ დამუშავებას, ქსოვას, ანიმაციას. სკოლაში სულ დასაქმებულია 10 თანამშრომელი.

გრაფიკი #28



კულტურული ღონისძიებების დაფინანსება - ქვეპროგრამების განხორციელება ითვალისწინებს ონის მუნიციპალიტეტში საერო-სადღესასწაულო დღეების აღნიშვნას, მუნიციპალური ღონისძიებების ონელობა და ახალი წელი, ავთენტიკური საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი "უნისონი", ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა (ართერაპია), ევროპის სპორტის კვირეული, თანამედროვე პოეზიის საღამოები - ხარხელაურის პოეზია, კულტურათა დიალოგი - მხატვრობა,საერთაშორისო სპორტის დღე მშვიდობისა და განვითარებისათვის, სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და ინტელექტუალური კონკურსი "ეტალონი". ღონისძიებებში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების ჩართულობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია-დანერგვას.

ბიბლიოთეკების დაფინანსების ღონისძიებები – ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა შედგება 1- ქალაქის და 17 სასოფლო ბიბლიოთეკისაგან. წიგნადი ფონდი შეადგენს სოფლად და ქალაქად - 61446 ეგზემპლარს.ბიბლიოთეკაში დასაქმებულია 26 თანამშრომელი, რომელიც ემსახურება ყველა ასაკის მკითხველს. წლის განმავლობასი ხორციელდება სხვადასხვა პროექტები. კითხვის საღამოები ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენები. დაგეგმილია წიგნადი ფონდების განახლება, შემეცნებითი შეხვედრების ჩატარება სკოლებში.

მუზეუმის ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები - ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელიც წარმოადგენს კულტურის, განათლების, მეცნიერების კერას. სადაც დაცულია 14 000-ზე მეტი ძირითადი და დამხმარე ექსპონატები მათ შორის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, სახვითი ხელოვნების ნიმუშები, შუასაუკუნეების რელიეფები, ნუმიზმატიკური, ხელნაწერი და ძველბეჭდური წიგნები, ხელნაწერი ისტორიული დოკუმენტები და სხვადასხვა პატარა კოლექციები. მუზეუმში დასაქმებულია 13 თანამშრომელი.

ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი - ქვეპროგრამა ითვალისწინებს ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას; წინადადებების შემუშავება ტურიზმის პოტენციალის გაზრდის მიზნით; ტურიზმის სფეროში სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება შეგროვება; ტურიზმის სფეროში მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციიდან თანამშრომლობის გზით წინადადებების შემუშავება, ტურისტული მომსახურების სფეროში არსებული გამიცდილების გაზიარებისა და პრაქტიკაში დანერგვის მიზნით შესაბამისი პროექტების მომზადება.

მოსწავლე ახალგაზრდობის ღონისძიებების დაფინანსება - ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სადაც მოქმედებს 9 წრე. აქედან 4 შემოქმედებითი, 2 შემეცნებითი და 3 საგნობრივი წრე. განათლებას იღებს ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 142 ბავშვი. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში დასაქმებულია სულ 12 თანამშრომელი. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ბავშვები ეუფლებიან ფოლკლორს, ხალხურ საკრავებზე დაკვრის ხელოვნებას, საესტრადო სიმღერების შესწავლას, სასცენო ხელოვნებას, მხატვრულ კითხვას, საქართველოს ისტორიის შესწავლას, ჭადრაკის, ანა-ბანას, კომპიუტერულ ტექნოლოგიებს და საგნობრივი წრეებში (ფიზიკა, მათემატიკა, ინგლისური) ცოდნის გაღრმავებას.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ითვალისწინებს 240.3 ათასი ლარის გამოყოფას, რაც მთლიანი ბიუჯეტის ასიგნებების 10,6%-ს შეადგენს.

გრაფიკი #29



2022 წელს პრიორიტეტის საერთო დაფინანსების 81% მოდის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებზე (194.3 ათასი ლარი), ხოლო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებზე - 19% (46.0 ათასი ლარი).

გრაფიკი #30



საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება - პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:

- ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი, ენტომოლოგიური ღონისძიებები)
- იმუნიზაციია.
- ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.
- ზედამხედველობის სისტემით (შეტყობინების, სენტილური (მგრძნობიარე) სისტემით, რუტინული სტატისტიკური მონაცემების რეგისტრაცია, ხარისხია შეფასება, დაზუსტება და გადაცემა დადგენილი წესით.

სოციალური დაცვის პროგრამებისათვის ონის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს 194.3 ათასი ლარის გამოყოფას. აღნიშნული თანხის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი 8 ქვეპროგრამა:

სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები (ათასი ლარი)

ავადმყოფთა სოციალური დაცვა	88.0
ობოლი ბავშვების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები	50.0
სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დახმარების ღონისძიებები	30.0
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	15.0
9 და 26 მაისის, 8 მარტის, 17 ოქტომბერს და საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით ვეტერანთა ერთჯერადი დახმარება	4.4
სამამულო ომის ვეტერანებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და ინვალიდთა ოჯახების სოციალური დახმარების ღონისძიებები	4.0
ას წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ღონისძიებები	2.4
ვეტერანთა დაკრძალვის ღონისძიებები	0.5
სულ	**194.3**

ავადმყოფთა სოციალური დაცვა - ქვეპროგრამის ფარგლებში ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევა მოქალაქეებს:

1. თუ ისინი აუცილებლად საჭიროებენ სამედიცინო დიაგნოსტიკურ კვლევებს, სტაციონარში მედიკამენტურ მკურნალობას ან/და სასწრაფო ოპერაციას და მათი აღნიშნული მკურნალობის

ხარჯებს სრულად არ ფარავს ჯანდაცვის არცერთი პროგრამა. დახმარების გაწევა მოხდება შემდეგნაირად:

ა) მოქალაქეს, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში შეადგენს 0-დან 70 001-მდე, აუნაზღაურდება წარმოდგენილი თანხის 80% პროცენტი, მაგრამ არაუმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარისა;

ბ) მოქალაქეს, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში შეადგენს 70 001-დან 150 001-მდე, აუნაზღაურდება წარმოდგენილი თანხის 60% პროცენტი, მაგრამ არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარისა;

გ) მოქალაქეს, რომელზეც არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეღავათი, აუცილებლობის შემთხვევაში, მერის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, აუნაზღაურდება წარმოდგენილი თანხის 50% პროცენტი, მაგრამ არაუმეტეს 1000 (ერთი ათასი) ლარისა;

2. ჰემოდიალიზის კომპონენტის მოსარგებლეთა დახმარება გაიცემა ყოველთვიურად წლის განმავლობაში თვეში 100 ლარი; 3.მედიკამენტით უზრუნველყოფისთვის ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტებზე ერთჯერადად გაიცემა 100 ლარი; ქვეპროგრამის მიზანია პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ფინანსური დახმარება..

<u>ობოლი ბავშვების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები</u> - ქვეპროგრამის ფარგლებში მატერიალური დახმარება გაეწევა: 1. ახალშობილის შეძენასთან დაკავშირებით ოჯახებს პირველი შვილის შეძენაზე - 350 ლარის, მეორე შვილის შეძენაზე - 400 ლარის. 2. მრავალშვილიან 3 შვილიან ოჯახებს -200 ლარის, 4 შვილიან ოჯახებს -250 ლარის, 5 შვილიან ოჯახებს 300 ლარის, 6 და მეტი მრავალშვილიან ოჯახებს - 350 ლარის. 3.მარჩენალდაკარგულ, ობოლ და მშობელთა მზრუნველობა მოკლებულ ბავშვებზე დახმარება გაიცემა წელიწადში ორჯერ - სასწავლო წლის დაწყებისთვის 100 ლარის ოდენობით და საახალწლო საშობაოდ ოჯახზე 100 ლარი. 4. სოციალურად დაუცველი მრავაშვილიან (3 და მეტი შვილი) ოჯახებზე საახალწლო საშობაოდ გაიცემა 100 ლარი. 5. მძიმე სოციალური პირობების მქონე უსახლკარო ოჯახებს, რომელთაც არ გააჩნიათ საცხოვრებელი ფართი ან თავშესაფარი და ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, მათზე გაიცემა ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინის ქირის კომპენსაცია, არაუმეტეს თვეში 150 (ასორმოცდაათი) ლარისა.

<u>სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დაცვა</u> - სტიქიური მოვლენების დროს (ხანძარი, მეწყერი, წყალდიდობა, გრიგალი, ღვარცოფი) ოჯახებზე, რომელთაც გაუნადგურდათ ან მნიშვნელოვნად დაუზიანდათ საცხოვრებელი სახლი თითოეულ გაიცემა ერთჯერადი ფინანსური დახმარება არაუმეტეს 5000 (ხუთიათასი) ლარის ოდენობით.

<u>გრაფიკი #31</u>



<u>შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა</u> - ქვეპროგრამის ფარგლებში:

1. არასაპენსიო ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, ერთჯერადი დახმარება გაიცემა ცერებრალური დამბლის, დაუნის სინდრომის, ტეტრაპლეგიის, ჰემიპლეგიის, პარაპლეგიის, მკვეთრად გამოხატული ტეტრაპარეზის, მკვეთრად გამოხატული პარაპარეზის, მკვეთრად გამოხატული ჰემიპარეზის გამო მყარი ნარჩენი მოვლენების, გონებრივი ჩამორჩენის, ეპილეფსიის, ფსიქიკური პრობლემების, III–IV ხარისხის სკოლიოზის, ორმხრივი ნეიროსენსორული (IV ხარისხის) სმენაჩლუნგობის და ინვალიდობის ეტლის საჭიროების მქონე პირებს რომელთაც არ შეუძლიათ სრულფასოვნად ჩაერთონ საზოგადოებრივ საქმიანობაში ან იცხოვრონ ცხოვრების ჩვეულებრივი წესით: ა) წლის განმავლობაში 300 (სამასი) ლარი და ბ) საახალწლო-საშობაოდ 100 (ასი) ლარი.

2. 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს ერთჯერადი დახმარება გაეწევათ შემდეგნაირად: 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საახალწლო-საშობაოდ თუ მათზე არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ქვეპუნქტის მოქმედება - გაიცემა 100 (ასი) ლარის ოდენობით.

ბიუჯეტის გადასახდელები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით

2020-2022 წლების მიხედვით ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯამში დაიხარჯება 45,748.2 ათასი ლარი. ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით მოცემულია #32-ზე და #33 გრაფიკებზე:

გრაფიკი #32



გრაფიკი #33



როგორც გრაფიკებიდან ჩანს ონის მუნიციპალიტეტის ბოლო 3 წლის ბიუჯეტის ხარჯების 68% (31,1 მლნ ლარი) კლასიფიცირდება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით, ამ მუხლით გაწეული ხარჯი ბოლო 3 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად აღემატება საბიუჯეტო კლასიფიკაციის სხვა მუხლებიდან გაწეულ ხარჯებს;

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლის მიხედვით სიდიდით მეორე ბოლო 3 წლის მიხედვით არის საქონელი და მომსახურების მუხლი. ჯამში, ეკონომიკური კლასიფიკაციის ამ მუხლით კლასიფიცირდება 5,3 მლნ ლარი (მთლიანი გადასახდელების 12%).

შემდეგ მოდის საბიუჯეტო კლასიფიკაციის შრომის ანაზღაურების მუხლი საიდანაც ბოლო 3 წლის მიხედვით ჯამში დაიხარჯება 4,2 მლნ ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 9%-ია და ა.შ. ინფორმაცია წარმოდგენილია #32 და #33 გრაფიკებზე.

ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების პროპორცია ბოლო 3 წლის მიხედვით მოცემულია გრაფიკ #34-ზე.

გრაფიკი #34

მიმდინარე და კაპიტალური ხარჯები 2020-2022 წლებში